



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 51
15/07/2016

51-06-4-201607151002

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე

„ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის “54 -ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მიმდინარე წლის 15 ივლისს 12:00 საათისთვის (მის. ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო